კვლევის ანგარიში

მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში

ავტორები: ინგლისური ენის პედაგოგი ნინო კალანდარიშვილი

ისტორიის პედაგოგი ნინო ონიაშვილი

2018

სარჩევი

შესავალი - - -

ბიბლიოგრაფია -18

დანართი № 1 - 19

დანართი № 2 - 21

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ - 23

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საბაზო საფეხურზე - VII კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში. სწავლების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვივება წარმოადგეგნს. სწავლის მოტივაციის გაზრდის ტრადიციული მეთოდი გულისხმობდა მოსწავლეების ,,დამოძღვრას“ სწავლის სიკეთისა და სარგებელის შესახებ. თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეს მიდგომა ეფექტური არ აღმოჩნდა.

თანამედროვე პირობებში სწავლისადმი მოტივაციის გაჩენა/ განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესშიცმოელის, ამიტომ ზოგჯერ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

ზოგიერთი ბავშვი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდი ენთუზიაზმს ამჟღავნებს, სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვივებლად დამატებითი სტიმულაცია, წახალისება სჭირდება, რასაც მასწავლებლისგან მოელიან. სწავლასა და მოტივაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ნაშრომი არის ამ მხრის პრაქტიკული ანგარიში, რომელშიც მოცემულია პრობლემები და მის გადასაჭრელად განხორციელებული მუშაობა, ცვლილებები, დაგეგმილი ღონისძიებები.

ნაშრომი შედგება 6 თავისგან.I თავში განხილულია ლიტერატურა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის გაზრდის შესახებ; II თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ, განხილულია კვლევის მიზანი და დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა; III თავში ჩამოყალიბებულია

საკვლევი კითხვები,კვლევის მეთოდები, ამოცანები, განხორციელებული ინტერვენციები; IV თავში მოცემულია ინტერვენციების შედეგების შეფასება; V თავი ეხება კვლევის მიგნებებს, რეკომენდაციებს და ნაკლოვანებებს; VI თავი ეთმობა დასკვნას და ცხრილს, პროექტის ვადების შესახებ. კვლევას თან ერთვის ბიბლოიგრაფია და დანართები.

ძირითადი დასკვნები:კვლევისპროცესში გამოყენებული მეთოდები დგვეხმარა უფრო ზუსტად განვსაზღვროთVII კლასში გამოვლენილი პრობლემის რეალური მიზეზები, თუმცა ჩვენი პირველადი ვარაუდით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსწავლეები შეძენილი უნარ-ჩვევებით, კოგნიტური განვითარებისა და სწავლის ტემპით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც მათი სწავლის შედეგებზე აისახება.გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ოჯახური გარემოც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მოტივაციას სწავლის მიმართ. ეს ფაქტორიც აუცილებლად იქნება არსებული პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი.

I თავი

ლიტერატურის მიმოხილვა

აბრაამ მასლოუს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ წარმომადგენლად მიიჩნევენ. ჰუმანისტური ფსიქოლოგია აერთიანებს ბიჰევიორისტულ და ფსიქოანალიტიკურ მიდგომებს. ბიჰევიორისტული მიდგომის თანახმად, ადამიანის ქცევა გარეგანი სტიმულირებით კონტროლირდება, ხოლო ფსიქოანალიტიკურ მიდგომას ადამიანის ქცევის ძირითად წარმართველ ძალად შინაგანი, არაცნობიერი ძალები მიაჩნდა. მასლოუ უარყოფდა იდეას, რომ ადამიანის ქცევას აკონტროლებენ მხოლოდ შინაგანი ან მხოლოდ გარეგანი ფაქტორები. მას მიაჩნდა, რომ ადამიანის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორივე: შინაგანი და გარეგანი ძალები.

მოტივაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული ადამიანის მოთხოვნილებებით. აბრაამ მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებები ქმნის იერარქიას. მოთხოვნილება თითოეულ დონეზე გარკვეული ინტენსივობით უნდა დაკმაყოფილდეს, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მომდევნო დონეზე გადასვლა. მასლოუ განასხვავებდა ძირითად მოთხოვნილებებს და მეტამოთხოვნილებებს. ძირითადი მოთხოვნილებებია: ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, უსაფრთხოების მოთხოვნილება, სიყვარულისა და

მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, თვითპატივისცემის მოთხოვნილება. მეთამოთხოვნილებები შეიცავს ესთეტიკურ, კოგნიტურ, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს.

მოთხოვნილებები იერარქიულადაა განლაგებული. მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგანმანათლებლო სისტემაზე. იმისათვის, რომ სასწავლო პროგრამებმა მაქსიმალურად გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლეთა მოთხოვნილებები და მათი იერარქიული თანმიმდევრობა.

საყურადღებოა დ. უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა განწყობის თეორიის სახით. დ. უზნაძის მიხედვით, აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება.

სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მზაობას გარკვეული ქცევისადმი. ,,სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“. მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს. შესაბამისად, ბავშვს თვითონ გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება,მისი შესაბამისი განწყობაც და გაეზრდება მოტივაციაც.

მოსწავლისმოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახვოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარე ცხოვრებას შორის.

თავი II

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ. სამიზნე ჯგუფი

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში. სკოლაში სწავლობს 203 მოსწავლე და მუშაობს59 თანამშრომელი, აქედან 36 პედაგოგი, მათგან 16 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია. გიმნაზია აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ინტერნეტით. კვლევა განხორციელდა ამავე გიმნაზიის მე-7 კლასში. კლასში სწავლობს 15 მოსწავლე, აქედან 8 მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, ხოლო 7 დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეა.გამოვლინდა, რომ კლასში მოსწავლეებს შორის არსებობს მკვეთრად განსხვავებული აკადემიური დონე. ამის გამოგამოიკვეთა საჭიროება ჩატარებულიყო საფუძვლიანი კვლევა, რომელიც უფრო მეტად დაგვანახებდა პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, რის შემდეგაც მიზნობრივად დაიგეგმებოდა მთელი რიგი ინტერვენციები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროცესში უშუალოდ ჩართულნი იყვნენ როგორც მოსწავლეები, ისე მათი მშობლებიც.

1.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევის მიზანი

რთულია მოსწავლეთა დაინტერესება საბაზო საფეხურზე, განსაკუთრებით მე-7 კლასიდან. მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ, ნაკლებად აინტერესებთ სასწავლო პროცესი, ეცემა სწავლის ხარისხი დაწყებით კლასებთან შედარებით.

მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, სურთ ბევრ აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა, არ ეზარებათ საშინაო დავალებების შესრულება, ხოლო მე-7 კლასიდან ჩართულობის ხარისხი იკლებს, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი გაკვეთილზე პასიურია, აღარ ასრულებს საშინაო დავალებებს, ზედაპირულად ეკიდებიან სასწავლო პროცესს, რაც უარყოფითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე. კლასში მოსწავლეთა ნახევარი დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, რადგან არც დაწერილი ქულა აინტერესებთ და არც სადამსჯელო სანქცია არსებობს, რაც მათი ქცევის ცვლილებას გამოიწვევდა. წარმოქმნილი პრობლემიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბეთ მთავარი საკვლევი საკითხი : რა განაპირობებს მე-7 კლასის მოსწავლეებში აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს?

წინამდებარე კვლევის მიზანიამოტივაციის ამაღლება დაბალი აკადემიური მოსწრებისმქონე მოსწავლეებში, რაც გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოკვეთას, რომელიც საჭიროა ესგ-ით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, ასევე გაკვეთილის გამრავალფეროვნება და მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება საგაკვეთილო პროცესში, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე აისახება.

თავი III

3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება

კვლევის მთავარი კითხვა იყო, თუ რა განაპირობებს საბაზო საფეხურზე, მე-7 კლასის მოსწავლეებში აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს. მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ქვეკითხვები:

- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ჩართულობაზე?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები მათთვის მისაღები შინაარსობლივი და იდეური თვალსაზრისით?
- არის თუ არა სირთულე ტექსტების მოცულობაში?
- რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს დამღლელი მათთვის?
- ხომ არ მდგომარეობს პრობლემების მიზეზები მათ პიროვნულ თვისებებსა და ზოგადად, სწავლისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონაში?
- რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში?
- როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევარჩიეთ ადეკვატური კვლევის მეთოდები.

3.2 სამიზნე ჯგუფი

VII კლაისის მოსწავლეები



3.3 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია სუსტ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზი, პროფესიული განვითარების დაგეგმვა მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მათი ცოდნის დონის დადგენას და იმ უნარების გამოკვეთას, რომელიც საჭიროა ესგ-ით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ასაევე შედეგზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღნიშნულიკვლევის ამოცანააისტორიისადაინგლისურიენისგაკვეთილებზეიმმეთოდებისდანერგვა, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, შექმნის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ საგაკვეთილო პროცესს და დაეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

3.4 კვლევის მეთოდები

კვლევის წარმატებით განხორციელების და კვლევის შედეგების სანდოობის და ადეკვატურობის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენეთ თვისებრივი (ზეპირი ინტერვიუ, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება) და რაოდენობრივი (ღია ანკეტირება) მეთოდები.

ინტერვიუმ სკოლის პედაგოგებთან საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა მათი დამოკიდებულება საკუთარი სასწავლო პრაქტიკის მიმართ, მოსწავლეებთან კი,თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს.

ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება განხორციელდა ისტორიისა და ინგლისური ენის გაკვეთილების მსვლელობისას, როდესაც მოსწავლეებს დაევალათ წარედგინათ წინასწარ მომზადებული სასწავლო პროექტის პრეზენტაციები. ჩვენი მიზანი იყო რისკის ჯგუფის მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზების დადგენა. მათმიერ განხორციელებული რამდენიმე აქტივობის დემონსტრირებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული ძლიერი მოსწავლეები, ხოლო სუსტი მოსწავლეები პასიურობდნენ და არ იჩენდნენ სათანადო ინტერესს პროექტის პრეზენტაციის დროს.

ღია ანკეტირებისათვის კითხვები მომზადდა VII კლასის პედაგოგებისათვის და მოსწავლეთა მშობლებისათვის. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ის პედაგოგები, რომლებიც გაკვეთილის ჩასატარებლად შედიან ზემოთ აღნიშნულ კლასში და აქვთ წარმოდგენა ამ მოსწავლეების მდგომარეობაზე სწავლასთან მიმართებაში. კვლევის შედეგების სრულყოფის მიზნით ჩავთვალეთ, რომ ამ პედაგოგების გამოცდილების გაზიარება იქნებოდა ხელშემწყობი პირობა კვლევის პროცესში.

მშობელთაგან გამოკითვაში მონაწილეობა მიიღო 14 მშობელმა. მოსწავლეებს კითხვარები გავატანეთ სახლში.მათ ჰქომდათ 3 დღე კითხვარების შესავსებად და დასაბრუნებლად. მიგვაჩნია, რომ მიღებული კითხვარები ზოგად წარმოდგენას ქმნის მშობლების დამოკიდებულებისა და მოსაზრებების გასაგებად მათი შვილების უნარებთან დაკავშირებით. ყველა კითხვარი დაგვიბრუნდა შევსებული სახით.

3.5 მონაცემთა ანალიზი

დამხმარე კითხვარის საშუალებით დადგინდა, მასწავლებელთა შეფასებები მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და მდგომარეობის შესახებ - კერძოდ, შემეცნებითი და ემოციური განვითარების დონე და საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი.

მასწავლებლებმა მოსწავლეების შეფასებისას ხაზი გაუსვეს აღქმა-გაგების, მახსოვრობის ხანგრძლივობის, ყურადღებისა და კონცენტრაციის და ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაბალ დონეს. ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვების დროს მონაცემთა ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ცოდნისა და გამოყენების დაბალი დონე. მასწავლებელთა ხელშეწყობით საჭიროა მოხდეს ამ უნარ-ჩვევების შეძენა და შემდგომში სასწავლო პროცესში გამოყენება. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ის, რომ არ ხდება ფოკუსირება პრობლემაზე, არასწორად ორიენტირებული საქმიანობები კი, ვერ ახდენს პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა შედეგებზე.

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მშობლებისათანადოდ არ თანამშრომლობენ მასწავლებლებთან სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად;
- აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები არ არიან საგაკვეთილო პროცესში ჩართულნი, არ რეგირებენ ყოველდღიურად დაწერილ დაბალ ნიშანზე, ეშინიათ მხოლოდ შემაჯამებელი წერების და ამ დროს ცდილობენ გადაიწერონ პასუხები, რათა აჩვენონ დამაკმაყოფილებელი შედეგები;
- აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვთ მათი როლი სასწავლო პროცესში, ამ პროცესის დროს აუცილებელი უნარ-ჩვევების ფლობისა და გამოყენების, მათი პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელების საჭიროება და აქტუალობა;
- აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს უჭირთ ნასწავლი ცოდნის წარმოჩენა, პრეზენტირება და პრაქტიკაში ტრანსფერი, წაკითხული ტექსტიდან ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის მოძიება.

3.6 მეორადი მონაცემების ანალიზი

პრობლემის შესწავლისმიზნით, კვლევის ერთ-ერთ მეთოდად გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზი, კერძოდ: მოსწავლეთა სასწავლო უნარების დასადეგენად შევაგროვეთ სასწავლო პროექტების პრეზენტაციების დროს შესრულებული აქტივობების ხელნაწერები, აგრეთვე მოსწავლეთა საშინაო დავალებების რვეულები, რომლებმაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარების დონე.

3.7განხორციელებული ინტერვენცია

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ და დავგეგმეთ შემდეგი ინტერვენციები:

- იქმნებოდა თანაბარი სიძლიერის ჯგუფები, რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს;
- დიფერენცირებულ ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები მუშაობდნენ იმ საკითხზე, რომელიც მათი ცოდნის შესაბამისი იყო;
- მოსწავლეთა წახალისების მიზნით განხორციელდა აქტივობა ,,მასწავლებელი“, წარმატებული მოსწავლეები დაინიშნენ მასწავლებლებად და ეხმარებოდნენ სუსტ მოსწავლეებს, რომლებსაც ეძლეოდათ შესაძლებლობა გარკვეული შედეგების მიღწევის შემდეგ გამხდარიყვნენ მასწავლებლები;
- ინგლისური ენის გაკვეთილზე მოწვეულ იქნა ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი, გაიმართა მასთან დისკუსია, კითხვა-პასუხი, მოუთხრო მოსწავლეებს ამერიკულ ტრადიციებზე, განათლებაზე და სხვ.
- ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსწავლეები ჩაერთნენ ეტვინინგის სასწავლო პროექტში ,,ჩვენი სკოლა“. შექმნეს ვიდეო რგოლი საკუთარი სკოლისა და კლასის შესახებ, რომელიც განთავსდა ეტვინინგის პორტალზე.
- განხორციელდა მოსწავლეთა ჩართვა საგნობრივ წრეებში (ისტორია, ინგლისური ენა);
- დაიგეგმა სასწავლო პროექტების ხშირი განხორციელება;
- დაიგეგმა შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება.

თავი IV

ინტერვენციების შედეგების შეფასება

ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგი გამოიღო მთელი კლასისთვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარჩინებული, ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები ინტერესით მუშაობდნენ ჯგუფურად, ადევნებდნენ თვალს ჯგუფური და წყვილებში მუშაობის განრიგს და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჯგუფური მუშაობის პროცესში. ჯგუფური მუშაობის დროს ავლენდნენ კოლაბორაციის უნარებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს და რაც მთავარია, ამას ხალისით აკეთებდნენ.

დიფერენცირებულ ჯუფებში მოსწავლეები გადანაწილებულები იყვნენ შემაჯამებელ სამუშაოებში მიღებული ქულების მიხედვით. ყველა ჯგუფს ცოდნის დონის შესაბამისი დავალება ჰქონდა და მუშაობდნენ ჯგუფებში.

ჯგუფებში წარმატებულ მოსწავლეებს მიმაგრებული ჰყავდათ სუსტი მოსწავლეები ან ისეთები, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო იმ დღეს მასალის სახლში დამუშავება ვერ მოასწრეს. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ გამხდარიყო მასწავლებელი. ამან მართლაც იმოქმედა დადებითად დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებზე და გაუჩნდათ სურვილი, რომ თვითონ გამხდარიყვნენ მასწავლებლები. გარკვეული დროის შემდეგ რამდენიმე სუსტი მოსწავლე გახდა მასწავლებელი. ამ აქტივობამ დიდი გავლენა მოახდინა და გააუმჯობესა დაბალი აკადემიური მოსწავლის შედეგი.

ამერიკელი მოხალისე მასწავლებლის მოწვევამ გამოიწვია ყველა მოსწავლის დაინტერესება ინგლისური ენის მიმართ, რადგან მათ დაინახეს რეალური საჭიროება ამ საგნისა და ბავშვების თხოვნით მოხდა კიდევ ერთი შეხვედრა ამერიკელ ანა ონელთან და დაიგეგმა ლაშქრობა ყინწვისში, სადაც მოსწავლეები სტუმარს ინგლისურ ენაზე მოუთხრობენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია ინგლისური ენის სწავლისადმი.

ეტვინიგის სასწავლო პროექტში ,,ჩვენი სკოლა“ ჩართვის შემდეგ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს დიდი ინტერესი და მონდომება ინგლისური ენის მიმართ, რამაც გამოიწვია გაზრდა მათი აკადემიური მოსწრებისა.

საგნობრივ წრეებში მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარა მასალის ათვისებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში. მოსწავლეთათვის მარტივად გასაგები სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით შევძელით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, VII კლასში დავგეგმეთ სამოდელო გაკვეთილები.

სასწავლო პროექტებზე მუშაობისას მოსწავლეებს დაევალათ შეექმნათ კედლის გაზეთები - ,,მსოფლიოს შვიდი საოცრება“ და ,,ჯვაროსნული ომები“. კედლის გაზეთზე მუშაობამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, დაინტერესებას და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარებას, რაც ეფექტური ინსტრუმენტი გახდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით, გაზარდა მათი

ინტერესი, კონკრეტულად ისტორიის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგნის სწავლის კუთხით.

მოსწავლეებთან ერთად შევქმენით და თვალსაჩინოების სახით საკლასო ოთახში გამოვფინეთ შეფასების სქემები. ამან მოსწავლეებს საშუალება მისცა, უფრო კარგად გაერკვნენ იმაში, თუ რას ითხოვს მათგან მასწავლებელი. ამ სახის ინტერვენციით მოსწავლეებს დავეხმარეთ თვითშეფასების უნარის განვითარებასა და ამაღლებაში.

დაკვირვებითა და მოსწავლეების გამოკითხვით დადგინდა, რომ ჩატარებული აქტივობებით, ურთიერთდახმარებით ჯგუფური მუშაობის დროს, ტესტირებით, თვითშეფასებით, მოტივაცია ამაღლდა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მთელ კლასზე. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა, შესაბამისად სწავლის დონეც გაუმჯობესდა. ეს უკანასკნელი გაიზომა შემაჯამებელი სამუშაოების საშუალო არითმეტიკულით.

ისტორიაში ჩატარდა სამი შემაჯამებელი სამუშაო.

შემაჯამებელი სამუშაო	I	II	III
საშუალო არითმეტიკული	8.6	8.6	9.1

ინგლისურ ენაში ჩატარდა შემაჯამებელი სამუშაო.

შემაჯამებელი სამუშაო	I	II	III
საშუალო არითმეტიკული	7.8	8	8.2

თვალსაჩინოა, რომ პირველი და მეორე შემაჯამებელი დავალების შედეგთან შედარებით მესამე შემაჯამებელ სამუშაოზე უფრო მაღალი შედეგი დაფიქსირდა.

თავი V

5.1კვლევის მიგნებები

ინტერვენციების განხორციელებისა და მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1.მოსწავლეები სწავლის პირველ წლებში არ არიან დატვირთულნი, მასალა ადვილია ასათვისებლად, ამავე დროს სასწავლო მასალა მცირეა, მოსწონთ სწავლის პროცესი, ცდილობენ თავი გამოიჩინონ კარგი სწავლით მასწავლებლებთან, ახლობლებთან, თანაკლასელებთან. ხოლო წლებთან ერთად როცა მასალა რთულდება და იზრდება სასწავლო მასალის მოცულობა, რთულდება სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს დაეწიოს ეროვნულ სასწავლო გეგმას.

2.კლასში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს განაპირობებს სუსტ მოსწავლეებში სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების დაბალი დონე. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს არ აქვთ გაცნობიერებული მათი როლი სასწავლო პროცესში, არ ფლობენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელების დროს აუცილებელ უნარ-ჩვევებს და არ იჩენენ ინტერესს ახალი მასალის სწავლისას.

3.მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოსწავლეთა გარდატეხის ასაკი, როცა მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ და ნაკლებად აინტერესებთ სწავლა.

5.2 რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სასურველია შეიცვალოს სახელმძღვანელოები, სადაც მოძველებული ტექსტებია წარმოდგენილი, რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს, თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სავარჯიშოები უნდა იყოს უფრო მეტად ისე ორგანიზებული, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ნასწავლი მასალის განმტკიცება. სახელმძღვანელოში უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ნასწავლის ტრანსფერის უნარი, შეძლონ საჭიროებისამებრ გამოიყენონ ნასწავლი. სასურველია მეტი ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება. მართალია, აკლია ჩვენს საკლასო ოთახებს კეთილმოწყობა ისტ-ის გამოყენებით გაკვეთილების ჩასატარებლად, თუმცა გვაქვს კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია და ადვილი მოსახერხებელია იქ

გაკვეთილების ჩატარება.ასევე საჭიროა სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით და აქტივობებით დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მეტ აქტიურობას, ინიციატივას და ქმედითობას მოითხოვს მოსწავლისგან.

5.3 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რამდენიმე მოსწავლემ ზეპირ ინტერვიუში ღია კითხვებზე საკუთარი აზრების დაფიქსირებას თავი აარიდა, რადგან არ იცოდა რა ეპასუხა ან მოერიდა საკუთარი აზრის დაფიქსირება. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ის გარემოება, რომ მოსწავლეებს არ აქვთ განვითარებული საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და კრიტიკული აზროვნების უნარი. ეს საკითხი შეიძლება ცალკე კვლევის საგნად მივიჩნიოთ და ჩავატაროთ მოსწავლეებში კვლევა ამ მიმართულებით.

კვლევის პროცესში, გარდა გამოყენებული მეთოდებისა, სასურველი იყო გამოგვეყენებინა მშობელთა და მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება, რადგან ანონიმურობის დაცვის შემთხვევაში რესპოდენტი უფრო გულწრფელია და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები უფრო ზუსტი და სანდოა.

თავი VI

6.1დასკვნა

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო აკადემიური მოსწრების ამაღლებისკენ და ითვალისწინებდა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგი აჩვენა. ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ VII კლასში მოსწავლეთა მკვეთრად განსხვავებულ აკადემიურ დონეს განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- პედაგოგებსა და მშობლებს შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა;
- სხვადსხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის დაბალი სიხშირე;
- სუსტ მოსწავლეებში სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების დაბალი დონე.

- VII კლასის მოსწავლეთა შემადგენლობის ცვლილება (ერთი მოსწავლე გადმოვიდა საჯარო სკოლიდან, რომელიც ფლობდა განსხვავებულ სასწავლო უნარებს).

შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც დაგვეხმარება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში. წარმოქმნილი პრობლემის (კლასში მკვეთრად განსხვავებული აკადემიური დონე) აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო. აღნიშნულ კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილები ისტორიასა და ინგლისურ ენაში,სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სხვასხვა აქტივობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ისტორიის გაკვეთილი ორიენტირებული იყო ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციის - სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებაზე, ხოლო ინგლისური ენის გაკვეთილი ხელს უწყობდა სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებას.

განხორციელებული ქმედებებით ისტორიისა და ინგლისური ენის გაკვეთილზე ცოდნის დონე ამაღლდა. კვლევის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გაკვეთილზე თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და მოტივირებას განსაზღვრავს მრავალფეროვანი და განსხვავებული აქტივობების გამოყენება და მუდმივი თანამშრომლობა მშობლებთან.

კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან დაეხმარება მათ, თვითონ წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე შეიმუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისათვის საჭირო სტრატეგიები.

6.2 ცხრილი პროექტის ვადების შესახებ

2018 წ.

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X				
კვლევის სავარაუდი გეგმის შემუშავება	X				
მონაცემების შეგროვება		X	X		
მონაცემების ანალიზი		X	X		
კითხვარის შედგენა		X			
კითხვარის შევსება, დამუშავება		X	X		
გამოკითხვა, თვითშეფასება		X		X	
მოღებული შედეგების ანალიზი			X	X	
ინტერვენციების განხორციელება	X	X	X	X	X
ინტერვენციების ანალიზი				X	X
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა					X

ბიბლიოგრაფია

1. ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.

2. ,,სწავლება და შეფასება“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.

3. მ. ინასარიძე, ს. ლობჟანიძე, მ.რატიანი, ი. სამსონია ,, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ - ნაწილი II, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.

4. მასწავლებლის სატრენინგო მასალა - ,,პრაქტიკისკვლევა“

5. თინათინ ზურაბიშვილი, თბილისი 2006 - ,,თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ .

6. ლია წულაძე, თბილისი 2008 -,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“.

დანართი №1

კითხვარი მასწავლებლებისთვის

მასწავლებლის სახელი და გვარი

საგანი, რომელსაც ასწავლით

1.რა პრობლემები იკვეთება საგაკვეთილო პროცესში მე-7 კლასის მოსწავლეებში?

2.განსხვავდებიან თუ არა მოსწავლეები ერთმანეთისგან აკადემიური დონის განვითარების მხრივ?

3.დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები იჩენენ თუ არა ნებისყოფასა და მოტივაციას საგაკვეთილო პროცესში?

---

4. რა ფაქტორები განაპირობებს მოსწავლეების ნაკლებ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში?

4.რა მეთოდები მოქმედებს მათზე უფრო ეფექტურად? (წახალისება, შექება, დამატებითი აქტივობების გამოყენება, შენიშვნა და სხვ.)

---

5. არის თუ არა თანამშრომლობა თქვენ გაკვეთილზე მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის?

დანართი № 2

კითხვარი მშობლებისთვის

მშობლის სახელი, გვარი

მოსწავლის სახელი,გვარი

1. რამდენ დროს უთმობს სახლში მეცადინეობას?

---

2. არის თუ არა მოტივირებული სასკოლო დავალებების შესრულებისას?

3.რა დამოკიდებულება აქვს სკოლისა და სასკოლო საგნების მიმართ?

4.რა სახის დავალებები უფრო მოსწონს?

---

5. რით არის დაკავებული თავისუფალ დროს?

---

6. რას მიიჩნევთ თქვენი შვილის სუსტ და ძლიერ მხარედ?

---

7. რა მეთოდი მოქმედებს მასზე უფრო ეფექტურად? (შექება, წახალისება, დამატებითი აქტივობების გამოყენება, შენიშვნა და სხვ.)

---

8. ფიქრობთ თუ არა, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს?

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

კვლევა ჩატარდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში. კვლევის მიზანი იყო VII კლასში დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება. მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლით, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წელს, გრძელდებოდა 5 თვის მანძილზე. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო მრავალფეროვან და განსხვავებულ აქტივობებში მონაწილეობა, სასწავლო პროექტებზე და საგნობრივ წრეებში მუშაობა.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. ჩვენთვის საინტერესო იყო უკუკავშირი, რომელშიც პედაგოგებმა მოგვიწონეს საკვლევად ამ საკითხის არჩევა და საინტერესო იდეებიც მოგვაწოდეს, დაინტერესდნენ შედეგებით. უკუკავშირი იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კოლეგების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მსგავსი აქტივობები მხოლოდ აფერხებს სასწავლო პროცესს და არ ეხმარება მოსწავლეებს წინსვლაში. ხოლო მეორე ნაწილს გაუჩნდა სურვილი, რომ თვითონაც განახორციელონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. უკუკავშირი საინტერესო და ეფექტური აღმოჩნდა, დაგვაფიქრა იმაზე, რომ კიდევ უამრავი აქტივობის მოფიქრება შეიძლება ამ კუთხით; კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები და გზები - ამოუწურავი.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით VII კლასის მასწავლებლებს, რომლებმაც არ დაიზარეს და მონაწილეობა მიიღეს წერილობით ანკეტირებაში, ასევე სასწავლო ნაწილს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გვიწევდა თანადგომას და მხარდაჭერას.